# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 5 აპრილი 2006 №75 (2697)    ფასი 50 თეთრი



## მალხაზ ასათიანმა ვარჯიში დაიწყო

3



## საჩუქარი თუ თავგანწირვა?

დღეს: ვის რა გა-მოუვა 23-ე ტურში?

4



## შოთამ ბრედა გადაწყვიტა

გუშინ „ალკმაარმა“ არველაძის გოლით 3:2 მოიგო. ეს შოთას 22-ე გოლია 27 მატჩში.

# კალაძის ლომის წილი ლომის მოთმინიერებაში




AFP მილანიდან

## ილია ავერბუხი სპორტის სასახლეში ობსერვატორიას გვიხსნის

### მე გაჩვენებთ ვარსკვლავეთს

ილია ავერბუხის სპორტულ ჯილდო-პრიზებზე ბევრი ოცნებობს, მაგრამ ყინულიდან ორიოდ წლის წინ წასულ უცნობილეს ფიგურულად მოცეკვავეს ერთი, ყველაზე დიდი ოცნება აუხდენელი დარჩა — მან და ყინულზეც და ცხოვრებაშიც მისმა მეწყვილემ ირინა ლობაჩოვამ ვერ მოიგეს ოლიმპიური ოქრო. ავერბუხი არც „სარბიელთან“ ინტერვიუში ცდილობს ამ სინანულის დაფარვას და საზოგადოდაც, გულღია მოსაუბრე ჩანს. სხვანაირად არც უნდა ყოფილიყო — კომუნიკაბელურობა ხომ მეორე საქმისთვის სჭირდება, ყინულის შოუწარმოდგენების დამდგმელ-ორგანიზატორიც გახლავთ და ამასწინათაც გამცნეთ, რომ ამგვარი შოუს მოწყობა თბილისშიც დაგეგმა.

*ინტერვიუ ილია ავერბუხთან იხილეთ მე-14 გვერდზე*





## სრული და არა საბოლოო

**ახალგაზრდული** ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 12 აპრილს მალტაში ადგილობრივ თანატოლებს დაუპირისპირდება, დღეს გახდება ცნობილი. 11 საათზე რალფ მინგე ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენციას გამართავს.

სია სრული იქნება, მაგრამ არა საბოლოო — პრესკონფერენციის შემდეგ თავად ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი, ჰაინც ტოპმიოლერი და ჰერბერტ ცანკერი ეროვნული ჩემპიონატის სამ სხვადასხვა შეხვედრაზე გეგმავენ დასწრებას. შესაძლოა, სიამ ამის შემდეგ გარკვეული კორექტირება განიცადოს.

8 აპრილს კი საქართველოს თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება, თუმცა მინგეს ამ დროისთვის გარკვეული ექნება საბოლოო შემადგენლობა და ცვლილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანს, თუკი გამოძახებულთაგან რომელიმე ფეხბურთელს მოისაკლისებს.

**გიორგი ნოზაძე**

# командა или нет?

## ინტერვიუ უკრაინული მჟავით

**გეცოდინებათ**, კლაუს ტოპმიოლერი ამ უქმეებზე უკრაინაში იყო, სადაც „ჩერნომორეც“ — „ვოლინს“ დაესწრო. ოდესელთა გუნდში ხომ კახა მჟავანაძე და ილია კანდელაკი თამაშობენ, რომლებიც ვერც მალტის ტურნირზე და ვერც ალბანეთში ტოპიმ საქმეში ვერ ნახა.

უკრაინელებს ჰერ კლაუსის სტუმრობა არ გამორჩენიათ, საქართველოს ნაკრები ხომ ევრო-2008-ის შესარჩევში მათი მეტოქეა. იქაურმა პოპულარულმა გაზეთმა „კომანდამ“ ტოპმიოლერს მატჩის ყველაზე საპატიო სტუმარიც კი უწოდა და კახა მჟავანაძეს ჩამოართვა ინტერვიუ, რომელშიც ჩვენიანი ალაგ ისე თამამობს, რომ კაცი დაეჭვდება, მართლა თქვა თუ არა მჟავანაძემ ეს სიტყვები...



„მე და კანდელაკმა ვიცოდით, რომ ტოპმიოლერი იყო ჩამოსული, ეს „ჩერნომორეცის“ მწვრთნელმა სემიონ ალტმანმა გვითხრა. თავიდან ტოპმიოლერს კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ უნდოდა ჩვენი ნახვა, მაგრამ ბოლო დროს რაღაცამ ხელი შეუშალა და კიდევ კარგი, ვერ გვნახა: კიევური კოშმარის გახსენებაც არ მინდა“ — ამბობს მჟავანაძე.

საქართველოს ნაკრების მარჯვენა მცველის თქმით, ტოპმიოლერის ვიზიტის გამო განსაკუთრებულად არ აღელვებულა — „მე ყოველთვის ვცდილობ, ჩემს გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოვუტანო. იმის გამო, მაკვირდება ტოპმიოლერი თუ სხვა ვინმე, უკეთესად ვერ ვითამაშებ. მატჩის შემდეგვე მე და კანდელაკი თარჯიმნის მეშვეობით ვესაუბრეთ ტოპმიოლერს. უნდა ვაღიარო, ასეთ თბილ შეხვედრას არ ველოდი. გერმანელმა მშვიდი და თავდაჯერებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. გვითხრა, რომ „ჩერნომორეცის“ თამაშებს კიდევ დაესწრება და დაგვპირდა, ნაკრების უახლოეს მატჩებში გამოგიძახებთო. მე და კანდელაკს მალტის ტურნირისთვისაც მოგვივიდა მოწვევა მისგან, რამაც ძალიან გაგვახარა, მაგრამ ხანგრძლივი ფრენის მერე მოულოდნელად ვიზების პრობლემა შეგვექმნა და ოდესაში დაბრუნებამ მოგვიწია“.

უკრაინელი ჟურნალისტი მჟავანაძეს ეკითხება, შენმა სანაკრებო თანაგუნდელებმა უკეთ გაიცნეს ტოპმიოლერი და როგორი შთაბეჭდილება დარჩათ მასზეო. კახამ პასუხი ასეთი იყო: „აზრი ძირითადად დადებითია. ყველა ამბობს, რომ მწვრთნელი სწორ გზას ადგას. ის არ ცდილობს, რომ მის გუნდში ითამაშოს რაც შეიძლება მეტმა ვარსკვლავმა. მისი კრედო ასეთია: შექმნას გუნდი, რომელსაც შეეძლება მისი მითითებების შესრულება“.

და მჟავანაძის ბოლო სიტყვებიც, რომელზეც თავშივე მიგანიშნეთ...

„საიდუმლო არ არის, რომ ქართველი ფეხბურთელები ცნობილი პიყონები არიან და სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენი ნაკრები მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ აღწევს. ჰოდა, ახლახან საქართველოდან ჩემმა ძმამ დამირეკა და მითხრა, რომ შოთა არველაძე ეროვნულ ნაკრებში აღარ იქნება. მას და ტოპმიოლერს საერთო ენა ვერ გამოუნახავთ“.

თავს ვერ დავდებთ, თქვა თუ არა ეს მჟავანაძემ, მაგრამ ფაქტი კია, „კომანდაში“ წერია...

**ილია ნანოგაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მახარაძე და კურორტი ერთად არ იქნება

**„ზესტაფონიდან“** თემურ მახარაძის გათავისუფლების შემდეგ გავრცელდა ცნობა, რომ ეს მწვრთნელი უახლოეს დღეებში საქმიანობას „ბორჯომში“ გააგრძელებდა. ითქვა, მახარაძე „ბორჯომის“ ამჟამინდელ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს შეხვედრია, ვითარება ერთად გაურკვევიათ და ხაჩიძე მახარაძეს ადგილს დაუთმობსო. ეს ყოველივე გაზვიადებული ყოფილა...

— თემურ მახარაძესთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს და მისთვის, რა თქმა უნდა, არც „ბორჯომის“ მწვრთნელობა შემითავაზებია — გვითხრა გუშინ „ბორჯომის“ პრეზიდენტმა დავით გელაშვილმა — კლუბს მწვრთნელი ჰყავს და, ვინც მის შეცვლაზე საუბრობს, ძალიან ვთხოვ, რომ მას ნუ ანერვიულებენ, ხაჩიძეს საფიქრალი ისედაც ბევრი აქვს. მოკლედ, გეტყვით, რომ „ბორჯომში“ თემურ მახარაძის დანიშვნაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა.

**ლუკა თალაკვაძე**

# ერთნახევარი სტადიონი

## მიხეილ მესხი — შესაძლებელია
## თამაზ სტეფანია — მხოლოდ ინტერტოტო
## ზესტაფონის ცენტრალური — საშიშია



აპრილში ეროვნულ სტადიონზე სარემონტო სამუშაოები დაიწყება და, სულ ცოტა, ზაფხულის ბოლომდე გასტანს. ეს თავისთავად გამორიცხავს ევროთასების შეხვედრების „ეროვნულზე“ გამართვას. რომელი სტადიონი ან სტადიონები არიან მზად საერთაშორისო შეხვედრების სამასპინძლოდ? ამ კითხვით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელ **ლალი ლობჟანიძეს** მივმართეთ...

— ალბათ „მიხეილ მესხი“, თუმცა მოედნის საფარი იქაც მძიმე მდგომარეობაშია და შესაცვლელია. ეროვნული სტადიონით კი, რემონტის გამო ვერ ვისარგებლებთ.

— ბოლნისისა და ზესტაფონის სტადიონები?

— სიმართლე გითხრათ, ზესტაფონის სტადიონი არ მინახავს, თუმცა ვიცი, რომ იქ სკამების პრობლემაა და უსაფრთხოების ნორმების მხრივაც არ არის ყველაფერი წესრიგში. სადღეისო მდგომარეობით, ზესტაფონის სტადიონი უეფას ეგიდით გასამართი მატჩების სამასპინძლოდ მზად არ არის.

— ზესტაფონისგან განსხვავებით, ბოლნისის სტადიონი ნანახი გაქვთ...

— ბოლნისის სტადიონი ცუდი არ არის, მაგრამ მარტო ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, მხოლოდ ინტერტოტოს თამაშების მასპინძლობის ნებას დავრთავდი. ყველაზე დიდ პრობლემას გამოსასვლელები ქმნის — სტადიონი კერძო სახლებითაა გარშემორტყმული, არადა, უეფას ნორმებით, სტადიონი დასახლებული პუნქტიდან 600 მეტრით მაინც უნდა იყოს დაცილებული. სხვა მხრივ კი, ბოლნისში ყველაფერი დამაკმაყოფილებელია.

— რაც შეეხებათ კლუბებს, რომლებიც ევროთასებზე გასვლისთვის იბრძვიან: როდისთვის დასრულდება მათი ლიცენზირება?

— ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული, ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება, დასკვნა კი ლიცენზირების კომიტეტმა უნდა გააკეთოს. პირველ ივნისამდე უეფას უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია იმ კლუბების შესახებ, რომლებმაც ევროთასებზე გასვლის უფლება მოიპოვეს.

**გიორგი ნოზაძე**





ზესტაფონის „ცენტრალური“ ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ბოლნისის „თამაზ სტეფანია“ კი ინტერტოტოს თასის მასპინძლობასღა თუ გასწევს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მალხაზ ასათიანმა ვარჯიში დაიწყო

**სასიამოვნო** ამბავი მალხაზ ასათიანთან დაკავშირებით: საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა გუშინ ვარჯიში დაიწყო — მოსკოვის „ლოკომოტივის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მალხაზს ჯერ მხოლოდ სირბილის უფლება აქვს, ზედმეტი მიხრა-მოხრა და სხვა, უფრო რთული სახის ვარჯიშები კი ორიოდ კვირაში შეეძლება.

შეგახსენებთ, ასათიანი რუსეთის პრემიერლიგის დაწყების წინ დაშავდა ესპანურ შეკრებაზე. ასეთი ტრავმების შემდეგ ფეხბურთელებს, როგორც წესი, ორი თვე უცდებათ. საბედნიეროდ, ასათიანის აღდგენითი პროცესი მეტად აღარ გაიწელებაო — ირწმუნებიან რკინიგზელთა ექიმები.

ზუსტად ჯერჯერობით უცნობია, როდის შეძლებს ჩვენიანი თამაშს — მის არყოფნაში „ლოკომოტივს" ისე გაუჭირდა, რომ თითო თამაშში ორ გოლზე ნაკლებს აღარ უშვებს, მოგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

**ილია ნანობაშვილი**


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



სიახლე
ჯეოსელისგან
ჩეთ-მიქსი!

GEO *123#
ჩეთ MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## მეორე წრე

## 23 ტური ანონსი

მცხეთა. 5 აპრილი. 16 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — ამერი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ხუციშვილი, ხ. გაგნიძე; დ. სანაია; დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

თბილისი. 5 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

### სოხუმი — დილა

მსაჯები: ა. ორდინიძე; კ. ბერაძე, ს. სპიცინი; ო. ხეცაძე; დამკვირვებელი: მ. მაღლაფერიძე

გორი. 5 აპრილი. 16 საათი. ქართლი

### ცხინვალი — ბორჯომი

მსაჯები: მ. მაისურაძე; კ. ტეფნაძე, დ. კვეტენაძე; გ. კიკაჩეიშვილი; დამკვირვებელი: ა. ბაჩუკაშვილი

ფოთი. 5 აპრილი. 16 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ბათუმი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; გ. ჩიგოგიძე, მ. ნაკაიძე; პ. დოგრაშვილი; დამკვირვებელი: მ. მირცხულავა

ზესტაფონი. 5 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — სიონი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; გ. ცირდავა, ზ. ჯვარიძე; ლ. ფანიაშვილი; დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

თბილისი. 5 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

### დინამო — სპარტაკი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ი. უკლება, ო. მოლოდინაშვილი; ა. ნონიკაშვილი; დამკვირვებელი: ვ. ბარქაია

თბილისი. 5 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი

### თბილისი — ტორპედო

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. თოდრია, ზ. ერქვანია; ვ. ელისაბედაშვილი; დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

თელავი. 5 აპრილი. 16 საათი. გივი ჩოხელი

### კახეთი — ლოკომოტივი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ბერულავა, ა. კოკაია; ლ. სილაგავა; დამკვირვებელი: თ. ლორთქიფანიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 22 | 17 | 3 | 2 | 41:15 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 16 | 4 | 2 | 43:12 | 52 |
| ზესტაფონი | 22 | 13 | 5 | 4 | 31:17 | 44 |
| დინამო | 22 | 13 | 4 | 5 | 36:17 | 43 |
| ბორჯომი | 22 | 13 | 2 | 7 | 38:19 | 41 |
| ამერი | 22 | 13 | 2 | 7 | 27:15 | 41 |
| ბათუმი | 22 | 12 | 5 | 5 | 29:16 | 41 |
| ლოკომოტივი | 22 | 10 | 4 | 8 | 32:27 | 34 |
| კოლხეთი | 22 | 8 | 4 | 10 | 20:23 | 28 |
| ტორპედო | 22 | 6 | 6 | 10 | 18:26 | 24 |
| კახეთი | 22 | 7 | 2 | 13 | 20:30 | 23 |
| დილა | 22 | 6 | 3 | 13 | 23:31 | 21 |
| ცხინვალი | 22 | 6 | 3 | 13 | 19:41 | 21 |
| სოხუმი | 22 | 4 | 2 | 16 | 21:49 | 14 |
| სპარტაკი | 22 | 2 | 5 | 15 | 5:37 | 11 |
| თბილისი | 22 | 2 | 2 | 18 | 12:40 | 8 |

**დისკვალიფიცირებულნი**

„ამერი" — დავით ბოლქვაძე
„ლოკომოტივი" — გიორგი ჩივაძე
„ზესტაფონი" — სერგეი ნუდნი
„სოხუმი" — თემურ გადელია
„დინამო" — რევაზ ქემოკლიძე, ლევან აკობია
„ბორჯომი" — ედიკ საჯაია, გონსალო დე პორასი
„კახეთი" — დავით ბურდული
„დილა" — ალექსანდრე ლაბაძე
„თბილისი" — ზაზა ზირაქიშვილი

# საჩუქარი თუ თავგანწირვა?

## იმერეთში პრიორიტეტებიც უნდა გამოჩნდეს



გურამ [illegible] ფოტო

23-ე ტური სადაგ დღეს ჩატარდება, მაგრამ ზესტაფონურ მატჩს მაყურებელი არ უნდა მოაკლდეს — „ზესტაფონი" ხომ ლიდერ „სიონს" მასპინძლობს. სტადიონი გაივსება თუ არა, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ რამდენიმე ათასი კაცი რომ დაესწრება ამ შეხვედრას, წყალი არ გაუვა. ზესტაფონისკენ დაიძრებიან „სიონის" ქომაგებიც — ბოლნისელი ფანები სამი მიკროავტობუსით ჩავლენ იმერეთში.

ზესტაფონზე გაცილებით ნაკლები მაყურებელი ეყოლება მცხეთურ „ვიტ ჯორჯია" — „ამერს", მაგრამ აქტუალობით სულაც არ ჩამოუვარდება: ვიტელები ჩემპიონობისთვის იბრძვიან, „ამერმა" კი ბოლო ორი მატჩი წააგო და საინტერესოა, როგორ დააღწევს თავს ასეთ ჩავარდნას.

უმნიშვნელო არც ტურის სხვა მატჩებია, რამეთუ მუშტარი ჩემპიონობის გარდა ევროსაგზურებსაც ჰყავს და არგავარდნისთვის ბრძოლაც ეშხში შედის.

„ზესტაფონი" — „სიონის" მატჩზე კი აზრის გამოთქმა მასპინძელთა მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს და ბოლნისელთა ერთ-ერთ ლიდერ ლევან ხმალაძეს ვთხოვეთ.



[illegible] ფოტო

*კობა ჟორჟიკაშვილი:* რა თქმა უნდა, „ზესტაფონი" — „სიონი" ტური მთავარი მატჩია, ისევე, როგორც „ვიტ ჯორჯია" — „ამერი".

— მწვრთნელის შეცვლის შემდეგ როგორი მდგომარეობაა „ზესტაფონში"?

— საკადრო ცვლილებები ყოველთვის იწვევს გუნდში რაღაცის შეცვლას, მაგრამ ამას მწვრთნელები და ფეხბურთელები შეჩვეულნი არიან — ასეთია ფეხბურთი.

— იყო ლაპარაკი, რომ „ზესტაფონში" პრემიების გაცემასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიქმნა...

— ხელფასებს „ზესტაფონში" იღებდნენ და კვლავაც მიიღებენ. უბრალოდ, თანხა ფეხბურთელებს საბანკო ანგარიშზე ეგზავნებათ და ზოგიერთ მოთამაშეს ბანკში ანგარიში არ ჰქონდა გახსნილი — შეფერხება ამის ბრალი იყო.

— თქვენი გაწვრთნილი „ზესტაფონი" უწინდელისგან მკვეთრად განსხვავებული იქნება?

— ფეხბურთი იმიტომაცაა საინტერესო, რომ ყველას თავისებური ხედვა აქვს.

— ეს იმას ნიშნავს, რომ „ზესტაფონის" შემადგენლობაში ცვლილებები იქნება?

— პატარა ცვლილებები შეიძლება იყოს, მაგრამ არა კარდინალური.

— მეტოქეზე რას იტყვით?

— მეორე წრეში „სიონის" თამაში არ მინახავს, მაგრამ პირველ ადგილზე რომ არის, ბევრ რამეზე მიუთითებს. თუმც არც ჩვენ ვართ „საჩუქარი" ნებისმიერი მეტოქისთვის.

— „ზესტაფონი" თასის ნახევარფინალშია, ჩემპიონატში კი ამ დროისთვის მესამე ადგილზეა — რომელი ტურნირი იქნება თქვენთვის პრიორიტეტული?

— გაგვაჩნია იმის რესურსი, რომ ორივე ფრონტზე ვიბრძოლოთ — „ზესტაფონს" გრძელი სკამი აქვს.

— „სიონთან" რამდენი ფორვარდით ითამაშებთ?

— გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ერთი ფორვარდით თამაში არ მიყვარს.

*ლევან ხმალაძე:* ამ შეხვედრაში შანსები ალბათ თანაბარია. თუმც მგონია, რომ „ზესტაფონი" უფრო თასზე გადაიტანს აქცენტს და ამ მატჩში თავს არ შეგვაკლავს.

— „სიონის" პრიორიტეტი კი ჩემპიონობაა?

— არა, ჩვენ ორივე ტიტულის მოპოვება გვინდა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

— როგორ ფიქრობ, ამ მატჩში „სიონს" რის ხარჯზე შეუძლია „ზესტაფონის" დამარცხება?

— „ზესტაფონი" დაუმარცხებელი გუნდი არ არის და სწორი თამაშის წყალობით გამარჯვება შეგვიძლია.

— ითქვა, „სიონში" ხელფას-პრემიების დარიგებაზე გარკვეული პრობლემებიაო...

— დავალიანება არის, მაგრამ ამას უახლოეს მომავალში გაგვისტუმრებენ. მოკლედ, სიტუაცია ნორმალურია.



[illegible] ფოტო

**დავით თავართქილაძე**

*რომელია დღევანდელი ტურის მთავარი დაპირისპირება: „ზესტაფონი“ — „სიონი“ თუ „ვიტ ჯორჯია“ — „ამერი“? ორივე შეხვედრა ისეთია, ექვსქულიანს რომ იტყვიან. მეტოქეები განსაკუთრებულად ემზადებიან და გუშინ იმითაც დავინტერესდით, მოექცევა თუ არა ეს მატჩები სამსაჯო კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში...*



# ამირან კაჭახიძე: მსაჯებს აღარ ვაქირავებთ

*ამირან კაჭახიძე (სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე):* გვესმის, რომ ორივე თამაში მეტისმეტად პრინციპულია. ზესტაფონში შეხვედრას ოთარ კორღალიძე დაესწრება, მცხეთაში კი მსაჯების გარჯას ავთანდილ შალამბერიძე შეაფასებს. ორივე ამ მატჩს, ისევე როგორც „კოლხეთი“ — „ბათუმის“ ტრადიციულად პრინციპულ დერბის, სირთულის უმაღლესი კატეგორია მივანიჭეთ. რაც შეეხება უსაფრთხოების ზომებს, იმედი გვაქვს, ყველაფერი წესრიგში იქნება. მცხეთაში და ზესტაფონში ყოველთვის იცავენ უსაფრთხოების ნორმებს. ასევე ფოთშიც, სადაც თამაშს თავად დავესწრები. იქ წესრიგზე პასუხისმგებელი სოსო ფილიას ვაჟია და ჩინებულადაც ართმევს თავს მოვალეობას.

...ზოგჯერ მწვრთნელებს პრეტენზიები აქვთ ხოლმე მსაჯების დანიშნასთან დაკავშირებით. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი კლუბის მწვრთნელმა გვისაყვედურა, ლევან ფანიაშვილის მეოთხე მსაჯად დანიშვნას, არბიტრად დაგენიშნათო. ამ დროს, ოთხ დღეში ერთხელ ტური გვაქვს და მსაჯებზეც სერიოზული დატვირთვა მოდის. როცა მსაჯი უმაღლესი სირთულის მატჩს განსჯის, მეორე ტურში მეოთხე მსაჯად ვუშვებთ, მესამეში ნაკლები სირთულის შეხვედრაზე ვნიშნავთ... ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები მწვრთნელებისთვის, მედიისთვის და ქომაგებისთვის გასაგები გახდეს. რაც მთავარია, მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ სამსაჯო კორპუსში ალებ-მიცემობა დასრულდა, „მსაჯების გამქირავებელი კანტორა“ აღარ ვართ და ყველა კლუბი მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე უნდა იყოს.

**გიორგი ნოზაძე**

# ბორჯომი პრეზიდენტმა გაალარიბა

**პროფლიგის** სადისციპლინო ტექნიკურ კომიტეტს (სტკ), ბუნებრივია, ამ სამშაბათსაც ჰქონდა საქმე, გასულ ტურში მომხდარი ამბები მიმოიხილა და აი, ვერდიქტებიც: „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი გიორგი ჩივაძე „სოხუმთან“ მატჩში მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევეს და 300 ლარის გადახდასთან ერთად, ორ თამაშსაც გამოტოვებს.

თბილისის „დინამოს“ მცველი ლევან აკობია „ბორჯომთან“ თამაშში გააძევეს. მან მეტოქე ფეხბურთელს დემონსტრაციულად ჰკრა ხელი. გაძევებული აკობია 3 თამაშს ხომ გამოტოვებს, ზედაც 400 ლარით შეითხელებს ჯიბეს.

იმავ „ბორჯომ“ — „დინამოს“ მატჩისას მასპინძელი კლუბის პრეზიდენტი დავით გელაშვილი მინდორზე შეიჭრა, მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და თამაშის მიმდინარეობას ხელი შეუშალა. 1.5 პუნქტის გათვალისწინებით, სტკ-მა „ბორჯომი“ 1 000 ლარით დააჯარიმა.

**ილია ნანობაშვილი**

# ბოლნისელები ფეროს ხელფას-პრემიებით მიადგებიან

**ბოლნისის** „სიონში“ სასიკეთო ამბავია: არა, გუნდი რომ ლიდერია, ამას კი არ გახსენებთ, ფინანსებზე ვიტყვით — კერძოდ, გუნდში ექვსი თამაშის მოგების პრემიები და ერთი თვის ხელფასის გაცემა დაიწყო.

წესით, ეს მნიშვნელოვანი სიახლე უნდა იყოს იმ მხრივ, რომ „სიონს“ დღეს უპრინციპულესი მატჩი ელის სტუმრად „ზესტაფონთან“. ბოლნისელებს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ, მოგების შემთხვევაში კი, რა შეხსენება უნდა, საჩემპიონო შანსები ძალიან გაეზრდებათ...

**ლუკა თალაკვაძე**

# გულშემატკივართა კლუბი

## საუკეთესო შვიდეული და ინტერესთა კონფლიქტი




CHAMPIONS LEAGUE · UEFA CUP · INTERTOTO CUP

წლეულს ევროთასებზე კვლავაც ოთხი ქართული კლუბი ითამაშებს — ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს ევროსეზონს, თასის მფლობელი და მეორეადგილოსანი უეფას თასზე გავლენ, მესამეადგილოსანი კი ინტერტოტოზე თამაშს უნდა დასჯერდეს. ეს ყველაზე მარტივი ფორმულაა, რომელსაც ორი ქვეფორმულა გააჩნია:

1. თუ საქართველოს ჩემპიონი დავით ყიფიანის სახელობის თასსაც მოიგებს, უეფას თასის საგზური მეორე ფინალისტს ერგება.

2. თუ დავით ყიფიანის სახელობის თასი ვერცხლისმედალოსანს დარჩება, ბრინჯაოს მფლობელი გუნდი უეფას თასზე ითამაშებს, მეოთხეადგილოსანი კი ინტერტოტოზე

ცხადია, ყველა ეს ვარიანტი უკვე გათვლილი აქვთ იმ კლუბებს, რომლებიც ევროპაში გასვლაზე აცხადებენ პრეტენზიას. ასეთი კი სულ შვიდია: „სიონი“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“, „დინამო“, „ბორჯომი“, „ამერი“ და „ბათუმი“.

გათვლები კი იმისთვისაა საჭირო, ყოველ კონკრეტულ დაპირისპირებაში ვის ვისი წარმატება აძლევს ხელს. ლაპარაკია არა თამაშების ყიდვა-გაყიდვაზე, არამედ, წმინდა პრაგმატული მოსაზრებით ვისიმე ქომაგობაზე.

ქართულ ფეხბურთში წმინდა პრაგმატული მოსაზრებით ქომაგობის გარდა, „არაწმინდა“ მეთოდებით ბრძოლაც ხშირად მოსულა, მაგრამ ამჯერად ამაზე არ შევჩერდებით. დარჩენილი ტურების კალენდარმა და სათასო წყვილებმა განსჯისათვის ნოყიერი მასალა მოგვცა. ვცადოთ და შვიდივე გუნდის ინტერესები სათასო ნახევარფინალებისა და სატურნირო მდგომარეობის ჭრილში ცალ-ცალკე განვიხილოთ...

### სიონი

ქვემოქართლელთა ამბავი გასაგებია: უმთავრესი სამიზნე ოქროს მედლები და ჩემპიონთა ლიგაა, თუმცა ბოლნისში იფიცებიან, გულში დუბლი ამოვიჭერით და არც თასისთვის ბრძოლაში დავზოგავთ წვივებსო. „სიონი“ მხოლოდ „სიონის“ ქომაგია, თუმცა ალბათ არ იქნება წინაალმდეგი, თასის ფინალში უახლოეს მდევარ „ვიტ ჯორჯიას“ შეხვდეს. ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურსა და თასის ფინალს შორის ოთხდღიანი დაშორებაა და, თუნდაც მოტივაციიდან გამომდინარე, „ჩემპიონობა ერთს, თასი მეორეს“ პრინციპიც შეიძლება ამოქმედდეს.

### ვიტ ჯორჯია

ვეტერინარებს მეორე ადგილი და უეფას თასის საგზური, ფაქტობრივად, ჯიბეში უდევთ და ახლა ჩემპიონობისა და თასისთვის იბრძვიან. უკვე ნახსენები პრინციპით, „ვიტ ჯორჯიასაც“ უნდა აძლევდეს ხელს თასის ფინალში „სიონთან“ შეხვედრა.

### ზესტაფონი

ჩემპიონობასა და მეორე ადგილზე ფიქრი უკვე ძნელია, რჩება თასი. თუკი ფინალში „ზესტაფონი“ ჩემპიონს შეხვდება, შედეგის მიუხედავად უეფას თასის საგზურს მიიღებს. შესაბამისად, ზესტაფონელებს „სიონ“ — „ამერის“ წყვილში ბოლნისელთა გამარჯვება აძლევთ ხელს, ოღონდ იმ პირობით, რომ „სიონი“ იჩემპიონებს.

### ამერი

„ამერისთვის“ ევროპისკენ მიმავალი უმარტივესი გზა თასის მოგებაზე გადის. ანაც ფინალისტობაზე, თუკი ფინალში ჩემპიონს შეხვდება.

ნახევარფინალის მეორე წყვილიდან ჩემპიონობის შანსი „ვიტ ჯორჯიას“ აქვს. ასე რომ, „ამერს“ ვეტერინართა ჩემპიონობა და, თასის ფინალისტობაც აძლევს ხელს.

### დინამო, ბათუმი და ბორჯომი

საუკეთესო შემთხვევაში, ამ სამეულს, ისევე როგორც „ზესტაფონს“ და „ამერს“ (თასზე წარუმატებლობის შემთხვევაში), მესამე ადგილით შეუძლიათ უეფას თასზე გასვლა. ამისთვის კი „მარტივი“ რამ არის საჭირო: თასის ფინალში ერთმანეთს ჩემპიონი და მეორე პრიზიორი შეხვდნენ და სულ ერთია, ვინ მოიგებს. ამ ლოგიკით, თასის ნახევარფინალში „ზესტაფონს“ და „ამერს“ სხვა კლუბების ქომაგობის „იმედი“ არ უნდა ჰქონდეთ — ანდრეი ჩერნიშოვს, ვლადიმერ ხაჩიძეს და ოთარ გაბელიას მათი მეტოქეების გამარჯვება აძლევთ ხელს.

*აქ მხოლოდ იმ ვარიანტებზე შევჩერდით, „შორით დავლას“ და გასაგებ პრაგმატიზმს რომ ითვალისწინებს. რაც შეეხება „მასესხე-ჩავასესხებ“-ს და „აქ გამატარე — იქ გაგატარებ“-ს, მეტისმეტად სარისკოა. დიდი შანსია, ამგვარი თამაშების მოსურნე თავისსავე ბადეში მოჰყვეს და საბოლოოდ სულაც მშრალზე დარჩეს.*

*მაინც დაველოდოთ, ყოველი მომდევნო ტური სავარაუდო თუ უკვე ჩამოყალიბებულ ინტერესებს უფრო მკაფიოდ გამოკვეთს...*

**გიორგი ნოზაძე**



# არა წუნი, არა ყვითლები

## გოგუას წარმატებული და დასანანი დებიუტი

*ნალჩიკის „სპარტაკის“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების 22 წლის ნახევარმცველ გოგიტა გოგუას რუსულ პრემიერლიგაში დებიუტი ჰქონდა — პრემიერლიგაში ახლადაღზევებულმა სპარტაკელებმა მოსკოვის „ლოკომოტივს“ სტუმრად 3:2 მოუგეს. გოგუა 47-ე წუთზე გააძევეს ორი გაფრთხილების გამო, მანამდე კი ერთობ აქტიური იყო მოედანზე...*

— ძალიან დაძაბული მატჩი იყო და ჩვენთვის ძალიან განსაკუთრებულიც — პრემიერლიგაში პირველ შეხვედრას ვთამაშობდით სტუმრად და თანაც, მოსკოვის „ლოკომოტივთან“. დასანანია, რომ გამაძევეს, მაგრამ არც ერთი ყვითელი ბარათი არ მეკუთვნოდა. ამ შეხვედრაში მსაჯის ქმედებას საგანგებო კომიტეტი განიხილავს.

— „ლოკომოტივი“ რუსეთში ერთ-ერთი უმდიდრესი და ტიტულოვანი კლუბია — რის ხარჯზე მოახერხეთ ასეთი მეტოქის დამარცხება?

— ვიბრძოლეთ და „ლოკომოტივს“ ტოლი არაფერში დავუდეთ. რუსეთში ბევრს ეგონა, რომ ამ მატჩში „სპარტაკს“ ბევრი წუნი ექნებოდა, მაგრამ ასე არ ყოფილა.

— „ლოკომოტივმა“ როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

— ამ გუნდს ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ მათ შეთამაშება აკლიათ და ვფიქრობ, ამის გამო მომდევნო ტურებშიც დაკარგავენ ქულებს. ჩემი აზრით, ძირითადში თამაშის ღირსია გიორგი ჭელიძე — ის „ლოკომოტივის“ სხვა ფორვარდებს არაფრით ჩამოუვარდება.

— შენ რა პოზიციაზე ითამაშე?

— ნახევარდაცვის ცენტრში და თან გამთამაშებლის ფუნქციებიც მეკისრებოდა. ერთხელ ჩავაწოდე საგოლედ, რამდენჯერმე შორიდან დავარტყი. მგონი, ურიგოდ არ მითამაშია.

— მატჩის შემდეგ „სპარტაკის“ მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა რა გითხრა?

— მწვრთნელი ჩემი თამაშით კმაყოფილი დარჩა, გაძევებაზე კი მითხრა, ვიცი, შენი ბრალი არ იყო, მაგრამ მაინც შეგეძლო, ყველაფერი თავიდან აგეცილებინაო.

— ნორმალურად ითამაშე და გაგაძევეს ალბანეთთან ამხანაგურ მატჩშიც — მაშინ რა გითხრა კლაუს ტოპმიოლერმა?

— ფეხბურთელებთან საითითაოდ არ უსაუბრია, ისე კი, ყველას თამაშით კმაყოფილი იყო.

**დავით თავართქილაძე**

# ნემსების ტყვე

## გახოკიძეს წელ-ფეხი არ ასვენებს

„ნერვებზე ვარ მოშლილი. არ ვიცი, რა ვქნა, როგორია, დიაგნოზს რომ ვერ გისვამენ?!“ — გვითხრა გოგა გახოკიძემ, რომელსაც გუშინ ჰოლანდიაში დავუკავშირდით.

მართლაც, ქართველ ნახევარმცველს ქრონიკულმა ტრავმამ დარია ხელი, იგი სამკურნალოდ გერმანიაში დადიოდა ცნობილ ექიმ იოაჰიმ შუბერტთან, რადგან, „ტვენტეს“ ექიმები, თავად გოგას თქმით, სუსტები არიან.

„მაინც მაქვს ტკივილები, დავიწყე ინდივიდუალური ვარჯიში, მაგრამ ისევ გაჩერებამ მომიწია... ხუთი-ექვსი ნემსი გამიკეთეს და მეტი აღარც შეიძლება, თორემ საშიშია. არა და არ მეშველა. ალბათ, დისკოზია, წელიდან გადადის ფეხზე ტკივილიო, ასე ამბობენ“ — გვითხრა დამწუხრებულმა გახოკიძემ.

შეიძლება ითქვას, გოგასთვის ჰოლანდიის ერედივიზიონის ეს სეზონი უკვე დამთავრებულია. მერე რა და როგორ იქნება, ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

დავით კვირკველია ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ზამთრის სატრანსფერო პაუზისას გადაბარგდა და ძალიან სწრაფად დაიკავშნა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ორი ტურის წინ დაშავებული კვირკველია 28-ე წუთზე შეცვალეს და ექიმები შიშობდნენ, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ტრავმა სერიოზული იქნებოდა. მათი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, დათომ გასულ კვირას მორიგი ტურის შეხვედრაში კიევის „არსენალთან“ შეუცვლელად ითამაშა და სტუმრად მოპოვებულ გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო. გუშინ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე დავით კვირკველიასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ...





# იმედია, ტოპმიოლერი ისევ გამომიძახებს

## დავით კვირკველია უკრაინას დაემუქრა

— როგორ აღმოჩნდი ზაპოროჟიეს „მეტალურგში“?

— ჩემმა მენეჯერმა შემომთავაზა გასინჯვა, გუნდს ანთალიურ შეკრებაზე გავყევი და მისი დასრულების შემდეგ სეზონის ბოლომდე კონტრაქტიც გავაფორმე.

— ქალაქი თუ მოგწონს?

— ქალაქიც მომწონს და გუნდიც. კლუბმა ბინა მიქირავა, რამდენიმე დღის წინ კი მეუღლე და ძმა ჩამომივიდნენ.

— დიდი ოჯახი გაქვთ?

— რვა და-ძმა მყავს, თუმცა მხოლოდ ერთი ძმა თამაშობს ფეხბურთს — ლანჩხუთის ჭაბუკთა გუნდის წევრია.

— მიმდინარე სეზონში რა პერსპექტივები აქვს „მეტალურგს“ ჩემპიონატში და თასზე?

— კონტინგენტის მხრივ, საკმაოდ სოლიდური გუნდი გვყავს — ამდენი კვალიფიციური ფეხბურთელით რუსული პრემიერლიგის ბევრი გუნდი ვერ დაიტრაბახებს. ეგაა, ცოტა დრო გვჭირდება შეთამაშებისთვის და ცოტაც იღბალი. წინ კიდევ ექვსი ტურია და იმედია, შეთამაშებას მოვასწრებთ. რაც შეეხება თასის გათამაშებას, მარიუპოლში საპასუხო მატჩი გველის და ყველაფერს გავიღებთ წარმატების მისაღწევად. მასპინძლები იძულებულნი იქნებიან, შემოგვიტიონ, ჩვენ კი სწრაფი ფორვარდები გვყავს და მარიუპოლელები კონტრშეტევაზე უნდა გამოვიჭიროთ.

— საქართველოს ნაკრებში 15 მატჩი ითამაშე, მაგრამ ბოლო სპარინგი ალბანეთის ნაკრებთან გამოტოვე...

— კლაუს ტოპმიოლერმა ამ მატჩისთვის კი გამომიძახა, მაგრამ იმ დღეს უკრაინის თასის პირველი ნახევარფინალი გვქონდა და კლუბის ხელმძღვანელობის თხოვნით, ალბანეთში გამგზავრებაზე უარის თქმა მომიხდა. იმედი მაქვს, ეს ჩემი ბოლო გამოძახება არ იყო ნაკრებში და კიდევ მომიწევს ქვეყნის მთავარ გუნდში თამაში, მათ შორის, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე უკრაინის ნაკრების წინააღმდეგაც.

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

## იუვენტუსი (იტალია) – არსენალი (ინგლისი) (0:2)

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

| იუვენტუსი | არსენალი |
|---|---|
| ბუფონი — ძამბროტა, ტურამი, კანავარო, კიელინი — მუტუ, ჯანიკედა, ემერსონი, ნედვედი — ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი | ლემანი — ებუ, ტურე, სენდეროსი, ფლამინი — პირესი, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, გლები, რეიესი — ანრი |

| დისკვალიფიცირებულნი | |
|---|---|
| მაურო კამორანეზი (1 მატჩი), პატრიკ ვიეირა (1 მატჩი), ჯონათან ძებინა (1 მატჩი) | არავინ |

# ტურინში დიდ საუნას ამზადებენ

## ის ფანდელი, მეთოფეები რომ დათოფა

დღეს „იუვენტუსი" „არსენალს" მასპინძლობს და თუ ისევ ისე უნიჭოდ ითამაშებს, როგორც ერთი კვირის წინ ლონდონში, შეჯიბრებას გამოეთიშება. და რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „იუვე" კარგად ითამაშებს? კაცმა არ იცის, ვინაიდან პირველ შეხვედრაში 0:2 აქვს წაგებული, ასეთი ანგარიშის გამოსწორება კი „არსენალის" ყალიბის გუნდთან უძნელესი საქმეა.

„ბებერ ქალბატონს" წინა სამშაბათს დისკვალიფიცირებული პაველ ნედვედი უბრუნდება. ნედვედი ამბობს: „ჩვენს გუნდს დანებება არ სჩვევია. სანამ გამარჯვების თეორიული შანსი არსებობს, „იუვე" იბრძვის, ამიტომ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ „არსენალს" ოფლის მოდენა მოუწევს. კიდევ ის ვიცი, რომ შეცდომების უფლება არ გვაქვს, ხოლო რას შევმატებ გუნდს პირადად მე, ვერ გეტყვით. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ თავს არ დავზოგავ".

მაგრამ ნედვედის დაბრუნება ერთია და პატრიკ ვიეირას, მაურო კამორანეზისა და ჯონათან ძებინას გამოკლება — მეორე. როგორ შეცვლის ამ დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელებს ფაბიო კაპელო?

როგორც ამბობენ, „იუვეს" შემადგენლობაში მარჯვენა ნახევარმცველად ადრიან მუტუ ითამაშებს, შუაში იქნება ჯულიანო ჯანიკედა, ხოლო მარცხნივ დაცვაში ჯორჯო კიელინი, წინ კი ნედვედი. და სადღა წავა ჯანლუკა ძამბროტა — იკითხავს „ბებერი ქალბატონის" წყობაში გარკვეული ქომაგი. სად და, თავის ხუთი წლის წინანდელ ადგილზე, დაცვის მარჯვენა ფრთაზე.

დაზუსტებით ამბობენ იმასაც, რომ არ იქნება ბოლოხანს ნამკურნალევი ალესანდრო დელ პიერო. მართალია, დელ პიერომ სამედიცინო შემოწმება გუშინწინაც გაიარა და გუშინაც, მაგრამ მისი თამაში კაპელოს მხრიდან მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფეხბურთელის ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენება იქნებოდა.

„არსენალს" კი ესპანელი სესკ ფაბრეგასისა და კოტდივუარელი ემანუელ ებუს ტრავმებისა ტყუილა შინებია. მართალია, ამ ორმა „მეთოფემ" შაბათს „ასტონ ვილასთან" შეხვედრაში ზუსტად ერთნაირად იტკინა საზარდული, მაგრამ ისინი არსენ ვენგერს არ გამოაკლდებიან. აქვე შეგახსენებთ, რომ პირველ თამაშში განსაკუთრებით გამორჩეული გახლდათ ფაბრეგასი, რომელმაც გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც ჩააწოდა. ამ ყველაფერთან ერთად, „არსენალს" შეუერთდება გამოჯანმრთელებული ფრედერიკ ლიუნგბერგიც, რაც საბოლოოდ, ალბათ, „იუვეს" წინააღმდეგ ხუთკაციანი ნახევარდაცვით თამაშს ნიშნავს.

და ვინ იქნება მატჩის მსაჯი? 42 წლის გერმანელი ჰერბერტ ფანდელი, რომელიც მეთოფეებს მწარედ იმიტომ ახსოვთ, რომ ორი სეზონის წინ „პსვ ეინდჰოვენთან" შეხვედრაში ვიეირა და ლორენი გაუგდო. ცხადია, ფანდელის თემას ინგლისური პრესა ბოლო დღეებში თავისებურად ჩაებღაუჭა და გვარიანი აჟიოტაჟიც გამოიყვანა.

**პაპუნა ძედია**



დელ პიერო ვერ ითამაშებს, ნედვედი — კი

**იუვენტუსის ბოლო ათი საშინაო მატჩი**

| | | |
|---|---|---|
| იუვენტუსი — რომა | 1:1 | სA |
| იუვენტუსი — მილანი | 0:0 | სA |
| იუვენტუსი — ვერდერი | 2:1 | ჩლ |
| იუვენტუსი — ლეჩე | 3:1 | სA |
| იუვენტუსი — პარმა | 1:1 | სA |
| იუვენტუსი — უდინეზე | 1:0 | სA |
| იუვენტუსი — რომა | 2:3 | ით |
| იუვენტუსი — ემპოლი | 2:1 | სA |
| იუვენტუსი — რეჯინა | 1:0 | სA |
| იუვენტუსი — ფიორენტინა | 4:1 | ით |

სA — სერია A, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, ით — იტალიის თასი

**არსენალის ბოლო ათი მატჩი სტუმრად**

| | | |
|---|---|---|
| ფულემი — არსენალი | 0:4 | პლ |
| რეალი — არსენალი | 0:1 | ჩლ |
| ლივერპული — არსენალი | 1:0 | პლ |
| ბირმინგემი — არსენალი | 0:2 | პლ |
| ბოლტონი — არსენალი | 1:0 | ათ |
| ევერტონი — არსენალი | 1:0 | პლ |
| უიგანი — არსენალი | 1:0 | ლთ |
| ასტონ ვილა — არსენალი | 0:0 | პლ |
| ჩარლტონი — არსენალი | 0:1 | პლ |
| დონკასტერი — არსენალი | 1:1 | ლთ |

პლ — პრემიერლიგა, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, ლთ — ლიგის თასი, ათ — ასოციაციის თასი

# ბარსას ნახევარფინალის პურმარილი დაუძველდა

## ბარსელონა (ესპანეთი) – ბენფიკა (პორტუგალია) (0:0)

ბარსელონა. „კამპ ნოუ". მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

| ბარსელონა | ბენფიკა |
|---|---|
| ვალდესი — ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი — ვან ბომელი, ინიესტა, დეკო — რონალდინიო, ეტოო, ლარსონი | მორეტო — რიკარდუ როჩა, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო — ბეტუ, პეტიტი, მ. ფერნანდეში — ჟოვანი, სიმაუ, მიკოლი |

| დისკვალიფიცირებულნი | |
|---|---|
| არავინ | ნუნუ ასისი (6 მატჩი) |

**„ბარსელონას"** საგოლე გვალვა ყველაზე ცუდ დროს დაემართაო, წუხდა კატალონიური სპორტული მედია „ბენფიკასთან" მატჩის წინ. ტყუილად როდი ღელავენ — ბოლო სამ თამაშში „ბარსამ" მხოლოდ ერთადერთი გოლი შეაგდო და ისიც პენალტით... პრიმერაში „მალაგასთან" და „რეალთან", ლიგაში კი „ბენფიკასთან" კატალონიელების მოიერიშეებმა მეტოქეთა კარისკენ 73-ჯერ გაისროლეს და ბედმა ოდენ ერთხელ, „რეალთან" რონალდინიოს პენალტისას გაუღიმათ. თან ეს სამივე მატჩიც ფრედ დამთავრდა, „მალაგასთან" და „ბენფიკასთან" 0:0 და „რეალთან" 1:1. სწორედ ამიტომაა, ფრანკ რაიკარდმა თავდამსხმელები საგანგებოდ რომ ავარჯიშა. ორშაბათს ვარჯიშის მერე ლუდოვიკ ჟიულიმ და ჰენრიკ ლარსონმა კარში დარტყმაზე წაიმუშავეს. „ბარსას" მთავარმეგოლე სამუელ ეტოო იმ ვარჯიშზე არ ყოფილა — აფრიკელს მუხლი აწუხებს და „ბენფიკასთან" ომის წინ გადაღლას მოერიდა. ეტოოს უგოლობა სხვაზე მეტად სტანჯავს — კამერუნელმა აფრიკის თასიდან დაბრუნების შემდეგ პრიმერას 9 ტურში ოთხი გოლი შეაგდო. არადა, აფრიკის თასამდე 19 მატჩში 18 ჰქონდა გატანილი.

მასპინძლები ტრავმირებული ტიაგო მოტას, ჟოზე ედმილსონის, რაფაელ მარკესის და სილვინიოს გარეშე იქნებიან. ლეო მესიც არ ითამაშებს — ტრავმა ჯერ არ მოურჩენია.

„კამპ ნოუზე" განწყობა საბრძოლოა. დეკომ „სპორტს" უთხრა, აუცილებლად მოვიგებთო, ხოლო რაიკარდმა ლიგაში „ბარსას" ოთხწლიანი ჩავარდნა გაიხსენა: „2002 წლის შემდეგ ლიგის ნახევარფინალში არ გავსულვართ. ამ „ტრადიციის" დამსხვრევას სწორედ წლეულს მოვახერხებთ".

„ბენფიკას" მთავარი დანაკლისი ფორვარდი ნუნუ გომეშია. მან მეოთხედფინალის პირველ მატჩში სანქციის გამო ვერ იბურთავა, ახლა კი „კამპ ნოუს" ტრიბუნაზე ჯდომა ტრავმის გამო მოუწევს — „ბელენენსეშთან" შეხვედრაში მუხლი იტკინა. ამით შეფიქრიანებულმა რონალდ კუმანმა რუს მოიერიშე ნახევარმცველ კარიაკას და ბრაზილიელ ფორვარდ მარსელს უხმო. „ესტადიუ და ლუჟზე" კარგად ვითამაშეთ. მთავარია, რომ მაშინ გოლი არ გავუშვით. ახლა ვეცდებით, „ბარსას" უმნიშვნელო შეცდომებიც კი გამოვიყენოთ" — განაცხადა კუმანმა. მანაც და რაიკარდმაც ფეხბურთელობისას კაი გვარიანად მოიხვეჭეს დიდი ჯილდოები, ოღონდ როგორც მწვრთნელებს, თავი ბევრით არაფრით გამოუჩენიათ და ვნახოთ, დღეს ვის გაუმართლებს.

**ლადო ხომერიკი**

**ბარსელონას ბოლო ათი საშინაო მატჩი**

| | | |
|---|---|---|
| ბარსელონა — რეალი | 1:1 | პდ |
| ბარსელონა — ხეტაფე | 3:1 | პდ |
| ბარსელონა — ჩელსი | 1:1 | ჩლ |
| ბარსელონა — დეპორტივო | 3:2 | პდ |
| ბარსელონა — ბეტისი | 5:1 | პდ |
| ბარსელონა — ატლეტიკო | 1:3 | პდ |
| ბარსელონა — სარაგოსა | 2:1 | ეთ |
| ბარსელონა — ალავესი | 2:0 | პდ |
| ბარსელონა — ბილბაო | 2:1 | პდ |
| ბარსელონა — ზამორა | 6:0 | ეთ |

პდ — პრიმერადივიზიონი, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, ეთ — ესპანეთის თასი

**ბენფიკას ბოლო ათი მატჩი სტუმრად**

| | | |
|---|---|---|
| ბელენენსეში — ბენფიკა | 1:2 | პჩ |
| რიუ ავე — ბენფიკა | 0:1 | პჩ |
| ლივერპული — ბენფიკა | 0:2 | ჩლ |
| ამადორა — ბენფიკა | 1:2 | პჩ |
| გიმარეიში — ბენფიკა | 2:0 | პჩ |
| ლეირია — ბენფიკა | 3:1 | პჩ |
| ჟილ ვისენტე — ბენფიკა | 1:3 | პჩ |
| ტურისენსე — ბენფიკა | 0:2 | პთ |
| სეტუბალი — ბენფიკა | 0:1 | პთ |
| მარიტიმუ — ბენფიკა | 0:1 | პჩ |

პჩ — პორტუგალიის ჩემპიონატი, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, პთ — პორტუგალიის თასი



ნუნუ გომეში „ბენფიკას" დღესაც ვერ დაეხმარება



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## C ჯგუფი

## არგენტინა, კოტ დივუარი, სერბეთი, ჰოლანდია

# ვინ დააბიჯებს სპილოს?




ანრი მიშელი

**კოტ დივუარი** მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ითამაშებს. სპილოს ძვლის ნაპირელები გერმანიის საგზურს ნაწილობრივ მოჰამედ შაუქის უნდა უმადლოდნენ. შაუქი ეგვიპტის ნაკრების ფეხბურთელია, რომლის გოლმაც, შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურის მატჩში კამერუნთან, „სპილოებს" მსოფლიოს ჩემპიონატის ვიზა გაუფორმა. შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურში კი, აი, რა ხდებოდა: კოტ დივუარმა სტუმრად მოუგო სუდანს და იმავ დღეს კამერუნი ეგვიპტეს მასპინძლობდა. კამერუნელ „ლომებს" რომ მოეგოთ, ისინი წავიდოდნენ გერმანიაში, მაგრამ მოჰამედ შაუქიმ 79-ე წუთზე გაათანაბრა და ამით „სპილოების" საქმე გააკეთა, კამერუნელები და ეგვიპტელები კი მეორე-მესამე ადგილებზე დარჩნენ.

კოტ დივუარის გასვლა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი მხრივ მოულოდნელობაა, მაგრამ გუნდის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, შეიძლება ლოგიკურადაც გვეჩვენოს. ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა ხომ ევროპულ კლუბებში თამაშობს.

* * *

*მწვრთნელი:* ანრი მიშელი ორი წლის წინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო. ეს საქმე რომ არ გამოვიდა, სწორედ ამის შემდეგ ჩაიბარა კოტ დივუარი და ამ ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში თავისი გვარი ჩაწერა. ფეხბურთელობისას 16 სეზონი „ნანტში" გაატარა და სამჯერ საფრანგეთის ჩემპიონი, ერთხელ კი თასის მფლობელი გახდა. ნაკრებში 58-ჯერ უთამაშია და ოთხი გოლი გაუტანია. რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას: ოთხი წელი საფრანგეთის ნაკრებს თავკაცობდა, 1990-1991-ში პსჟ-ში მუშაობდა, მერე კამერუნი ჩაიბარა და ამის შემდეგ აზია-აფრიკას მოედო. ჯერ არაბულ „ალ ნასრში" იყო, მერე ხუთი წელი მაროკოს მწვრთნელობა ითავა, ხოლო ამას საამიროების ნაკრები და ტუნისი მოჰყვა. 2003-2004 წლებში მაროკოს „რაჯა კასაბლანკას" თავკაცობდა, ახლა კი კოტ დივუარი უნდა ათამაშოს მსოფლიოს ჩემპიონატზე. წლეულს, თებერვალში, აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალში გაიყვანა „სპილოები" და მასპინძელ ეგვიპტესთან პენალტებით დამარცხდა, სწორედ იმ გუნდთან, რომელიც გერმანიის საგზურის მოპოვებაში დაეხმარა.

* * *

*საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი:* დიდიე დროგბა, მეტსახელად „ტიტო". დროგბამ შესარჩევ მატჩებში ცხრა გოლი გაიტანა. „ჩელსის" ფორვარდი, შეიძლება ითქვას, „მთავარი სპილოა".

| 10505 | იუვენტუსი-არსენალი | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10506 | ზენიტი-სევილია | 2.65 | 2.00 | 3.20 | 1.13 | 1.44 | 1.23 |
| 10507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10508 | შალკე-ლევსკი | 1.55 | 2.40 | 6.50 | 1.00 | 1.25 | 1.75 |
| 10509 | მიდლსბრო-ბაზელი | 2.25 | 2.00 | 4.50 | 1.05 | 1.50 | 1.38 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11505 | იუვენტუსი-არსენალი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11506 | ზენიტი-სევილია | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11508 | შალკე-ლევსკი | 1.75 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11509 | მიდლსბრო-ბაზელი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12504 | ბარსელონა-ბენფიკა | 2.00 | 1.65 |
| 12505 | იუვენტუსი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12506 | ზენიტი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 1.55 | 2.10 |
| 12508 | შალკე-ლევსკი | 1.90 | 1.70 |
| 12509 | მიდლსბრო-ბაზელი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.70 | 1.90 |
| 13505 | იუვენტუსი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 13506 | ზენიტი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 1.70 | 1.90 |
| 13508 | შალკე-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 13509 | მიდლსბრო-ბაზელი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.06 | 2.40 |
| 14505 | იუვენტუსი-არსენალი | 1.55 | 2.20 |
| 14506 | ზენიტი-სევილია | 1.80 | 2.00 |
| 14507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 1.70 | 2.20 |
| 14508 | შალკე-ლევსკი | 1.15 | 2.60 |
| 14509 | მიდლსბრო-ბაზელი | 1.60 | 2.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15504 | ბარსელონა-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15505 | იუვენტუსი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15506 | ზენიტი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 | შალკე-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 | მიდლსბრო-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.04 | 6.00 |
| 16505 | იუვენტუსი-არსენალი | 1.30 | 2.80 |
| 16506 | ზენიტი-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 16507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 1.42 | 2.30 |
| 16508 | შალკე-ლევსკი | 1.12 | 4.00 |
| 16509 | მიდლსბრო-ბაზელი | 1.30 | 2.70 |

### გოლი:ლუწი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17505 | იუვენტუსი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17506 | ზენიტი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 1.85 | 1.95 |
| 17508 | შალკე-ლევსკი | 1.85 | 1.95 |
| 17509 | მიდლსბრო-ბაზელი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.15 | 4.20 |
| 18505 | იუვენტუსი-არსენალი | 3.10 | 1.25 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# ავიაციამ საპლეიოფო საწვავი მოიმარაგა

## ხომ გითხარი, გაფრინდებიანო

**4 აპრილი. ვერის ბაღი**

**ავიამშენი 92:71 თსუ-ნიკორა**

*23:13 18:17 28:20 23:21*

ავიამშენი: ბ. ბერიშვილი (8), ხოშტარია (19), მარკოიშვილი (5), მინაშვილი (17), როდუმტა (12); ტულუში (19), ორმოცაძე (12)

თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (11), ლეჟავა (8), კეშელავა (2), ბეჟანიშვილი (14), მუშკუდიანი (8); მარხვაშვილი (10), ვეფხვაძე (9), ფანჩულიძე (4), ი. მაისურაძე (3), დიდია (2), სანიკიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**სტუ 110:90 მაკაბი**

*19:24 27:22 42:16 22:28*

სტუ: მიქაძე (22), ლოსაბერიძე (9), კეიდია (15), ლ. შანიძე (32), მათიაშვილი (8); კოხრეიძე (9), ნინუა (9), ახალკაცი (4), ქისტაური (2), მურჯიკნელი, ბერბიჭაშვილი

მაკაბი: ი. დოლიძე (14), კორკოტაძე (8), ვაშაკიძე (9), ს. შერმადინი (15), გ. შერმადინი (31 ქულა, 17 მოხსნა, 10 პასი); აკოლაშვილი (6), ენუქიძე (7), ფიცხელაური

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ გელოვანი

**აზოტი 88:45 სსუ**

*24:14 22:12 23:3 19:16*

აზოტი: ჟღენტი (2), ბოისა (12), გოგობერიშვილი (12), ტუჯანი (12), იმნაძე (8); ბაბიაშვილი (20), ჭოჭუა (7), ჩაჩუა (8), ლიპარტელიანი (5), დანელიანი (2), არწივიძე, ცეკვავა

სსუ: პატარაია (7), ჯიქია (6), ი. ჯგერენაია (2), გ. ჯგერენაია (4), ლ. ნოზაძე (14); ონიკაშვილი (5), მოდებაძე (6), ქვილითაია (1), გასიტაშვილი, ცერცვაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

მოსახდენი მოხდა. ჩემპიონატის დაწყებიდან გალიდერებული და ორი წრის წაუგებლად გამლევი „თსუ-ნიკორა" ზედ პლეი ოფის წინ ჩამოაბრძანეს ცხრილის კენწეროდან. მდევარმა „ავიამშენმა" ნელნელა, მძიმედ, მაგრამ შეუპოვრად სდია სტუდენტებს, მთელი ეს სეზონი შემადგენლობის შეკრება-შეთამაშებას მოანდომა და დამსახურებულადაც გალიდერდა. რა უნდა მოხდეს, რომ ლევან მოსეშვილის სამწვრთნელო რეგულარული ჩემპიონატი ვერ მოიგოს? სტუ-სთან უნდა დამარცხდეს, რაც სადღეისოდ არარეალურად ჩანს.

„თსუ-ნიკორას" კოჭებში ეტყობოდა, რომ ამ მატჩის მომგები არ იყო. რაც მწვრთნელი გამოუცვალეს, სტუდენტები წაგებებს დაეჩვივნენ და გასულ თვეში მოგებული საქართველოს თასიც მათი მაქსიმუმი იყო.

სხვათა შორის, თსუ-მ თასი სწორედ გუშინდელ მეტოქე „ავიამშენს" აართვა, რომელმაც მანამდე „აზოტი" შემუსრა და სტუდენტებთან ფინალში ზედმეტი თავდაჯერების გამო დაისაჯა. მოსეშვილის გუნდმა გუშინ სათასო სირცხვილიც ჩამოირეცხა და ნიკორელებს იქით აჰკიდა მწარე მარცხი. „ავიამშენმა" ულაპარაკოდ მოუთავა საქმე აქამდელ ლიდერს.

ეს იყო მატჩი, რომელსაც ჰყავდა ლიდერები, რომლებიც ამინდსაც ქმნიდნენ და თამაშის მიმდინარეობასაც კარნახობდნენ. ბევრისთვის სამწუხაროდ, ეს ლიდერები მხოლოდ ავიატორები იყვნენ, რაკი თსუ-ში ვერავინ გამოინახა ისეთი, თავისიანებს გაძღოლოდა და თამაშისთვის ინტერესი შეეძინა. ამან კი მაყურებელი აზარალა, რომელიც საკმაოდ იყო ვერის ბაღში მოსული და ჯიგრიანი ჯახის მოლოდინში თითებს იფშვნეტდა.

არ გამოვიდა. ავიატორებმა თავიდანვე მძლავრად შეუტიეს და პირველივე მეოთხედში რომ ათქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, მერე სანერვიულო თითქმის აღარ ჰქონიათ.

„ავიამშენს" თანაბრად ულხინდა წინა და უკანა ხაზში. წოწოლა პლასიდე როდუმტას ფარზე ელასტიკური ვახტანგ მინაშვილი აშველებდა ხელს, უკანახაზელთაგან კი კოტე ტულუში და ირაკლი ხოშტარია არავის არაფერს უთმობდნენ.

ეს ორი უკანახაზელი გახდა სწორედ მატჩის ბომბარდირი 19-19 ქულით, ტულუშისგანაც და ხოშტარიასგანაც „ავიაციამ" საკმაო საწვავი მიიღო. ამასთან, ტულუშმა ავიატორთაგან ყველაზე მეტი, 8 ბურთი მოხსნა, ხოლო გარღვევისას რომ წამოიწყებდა, მერე მის შეჩერებას ჯარიმითღა თუ ახერხებდნენ სტუდენტები. თუმცა ვერც ეს იყო თსუსთვის შვება: ტულუშს ერთიც არ აუცილებია საჯარიმოს ხაზიდან.

დავით უსტიაშვილი ნიკორელებს ხშირ-ხშირად ცვლიდა, მაგრამ ამან მას მხოლოდ ერთხელ, ისიც მეორე მეოთხედში გაუმართლა. ირაკლი მაისურაძის, ნიკა ვეფხვაძისა და გიორგი მარხვაშვილის მოედანზე გამოჩენამ შედეგი უმალ გამოიღო.



ირაკლი ხოშტარიას „ავიამშენმა" „თსუ-ნიკორა" დაამარცხა და ჩამოიტოვა

ამ ბიჭებმა მეორე ათწუთეულის საწყის სამწუთეულში 11:0 გააქციეს სტუდენტები და ანგარიშიც გათანაბრდა — 24:24.

სტუდენტების გამოსვლა იმავე ტულუშმა ჩააზო, როცა სამქულიანი დასჭექა და ავიატორთა ხელახალ გალაღებას დაუდო სათავე. დიდ შესვენებამდე 6 წუთი რჩებოდა, თუმც ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, ავიატორთა უკანახაზელებს შტურმი მოეწყოთ და 11 ქულით გალიდერებულიყვნენ.

მოსალოდნელი იყო, რომ შესვენება თსუ-ს წაადგებოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. მოედანზე მობრუნებულმა ტულუშ-ხოშტარიას ტანდემმა კვლავ გაიბილიკა თსუ-ს სამწამიანი. მათ არც შორიდან უმრუდდებოდათ მიზანი და მესამე მეოთხედის შუაწელში „ავიამშენის" უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა.

ამის შემდეგ საინტერესო აღარაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თსუ-მ ერთ მომენტში ანგარიში 12 ქულამდე შეამცირა და ტრიბუნებს შეფენილი უნივერსიტეტის სტუდენტობა ახმაურდა, აქაოდა, ფინალი მეორდებაო. მაშინ თსუ-მ „ავიამშენს" 19-ქულიანი ჩამორჩენა გაუბათილა და ოვერტაიმში იმარჯვა, თუმც ასეთი რამ გუშინ არათუ მოხდა, არამედ სტუდენტები კიდევ უფრო ჩამორჩნენ და საბოლოოდ უიმედოდაც განადგურდნენ.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავიამშენი | 26 | 22 | 4 | +519 | 48 |
| თსუ | 26 | 21 | 5 | +307 | 47 |
| სტუ | 26 | 18 | 8 | +167 | 44 |
| აზოტი | 26 | 18 | 8 | +388 | 44 |
| დინამო | 26 | 11 | 15 | +39 | 37 |
| მაკაბი | 26 | 7 | 19 | -407 | 33 |
| ქუთაისი | 26 | 5 | 21 | -276 | 30 |
| სსუ | 26 | 2 | 24 | -722 | 28 |

*ქუთაისს დაკლებული აქვს ერთი ქულა*

# შემონდ, სადაა უილიამსი!

## ევროპას ჰერბერტი შეარჩევს

*ეროვნული ნაკრებს, როგორც იქნა, დაენიშნა თავკაცი და ახლა ქართული კალათბურთის ხელმძღვანელობა საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებელ კალენდარს ადგენს. ამ საკითხში გადამწყვეტი სიტყვა, თავისთავად, ნაკრების თავკაცს ეკუთვნის, თუმც სანამ გორდონ ჰერბერტი საქმეში ჩაერევა, ფედერაციამ უკვე პირველი ნაბიჯები გადადგა. გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლოჩოშვილს რომ შევეხმიანეთ, რამდენიმე ქვეყანა დაგვისახელა, სადაც, შესაძლოა, საქართველოს ნაკრები სასპარინგოდ გაემგზავროს.*

— სანამ გორდონ ჰერბერტი შეეგუება ჩვენს ნაკრებში საქმიანობას, ჩვენ უკვე შევარჩიეთ რამდენიმე ქვეყანა, რომლებიდანაც ერთგან მოსამზადებელ ეტაპს გავივლით.

— თუ საიდუმლო არაა, რა ვარიანტები გაქვთ?

— უკვე მივიღეთ მოწვევა პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან. ასევე მიდის მოლაპარაკება უკრაინის კალათბურთის ფედერაციასთან.

— აქამდე ნაკრები იტალიაში დადიოდა, შარშან გერმანიაშიც იყო. არ ჯობდა, შედარებით მძლავრ საკალათბურთო ქვეყნებთან გაგემართათ მოლაპარაკება?

— როგორც იცით, ამ ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს და მასში მონაწილე ბობოლა ევროპულ ნაკრებებს მოსამზადებელი გრაფიკი კარგა ხნის წინ აქვთ შედგენილი. ყველამ უკვე იცის, სად, ვის და როდის ეთამაშება და მათთან სპარინგის შეთავაზებას აზრი არ აქვს.

— საბოლოოდ როდის გადაწყდება, სად გაემგზავრებით?

— ეს გორდონ ჰერბერტის გადასაწყვეტია. მას ჩვენ ამ დღეებში გავუგზავნით ვარიანტებს და თავად ჰერბერტი აირჩევს.

—შემონდ უილიამსის საკითხი როდის გაირკვევა?

— უილიამსთან დაკავშირებას ვცდილობთ, მაგრამ ტელეფონზე არ პასუხობს. „ბარსელონას" ახლა გადამწყვეტი მატჩები აქვს ევროლიგაში და, ალბათ, ვერ იცლის. უილიამსს უახლოეს ხანში დავუკავშირდებით და ალბათ, მის ნაკრებში თამაშსაც კვლავ მწვანე შუქი აენთება.

**ირაკლი პერტაია**


## თქვენი ინტერვიუ

## ზაზა ფაჩულიასთან

*თქვენი მორიგი რესპონდენტი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების და „ატლანტა ჰოქსის" ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფაჩულია იქნება.*

*მოგვაწოდეთ კითხვები და ნბა-ს ყველაზე წარმატებულ ქართველთან ინტერვიუ არაუგვიანეს 25 აპრილამდე გამოქვეყნდება.*



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# გადამდგარი გენერლის უსკანდალო ოჯახი

## ილია ავერბუხმა ელენე გედევანიშვილი ევროპამდე აღმოაჩინა

*მაისში თბილისში დიდი სტუმრიანობა იქნება. სპორტის სასახლეში „გაშლილ“ ყინულზე მსოფლიოს უკაშკაშესი ვარსკვლავები ჩვენთვის უჩვეულო ყინულის შოუს წარმოგვიდგენენ. ტატიანა ნავკა, ელენა ბერეჟნაია, ანტონ სიხარულიძე, ბრაიან ჟუბერი, ელენე გედევანიშვილი... ეს არასრული ჩამონათვალია ყინულის იმ სეფეხალხისა, ვინც მაისში გვეწვევა. შოუს „ჩამომტანი“ კი „ყინულის გადამდგარი გენერალი“, 2002 წლის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონი, ახლა კი განთქმული შოუმენი ილია ავერბუხია. ავერბუხი თბილისში მეუღლესა და სპორტულ პარტნიორს, უმშვენიერეს ირინა ლობაჩოვას იახლებს, ვისთან ერთადაც ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მედლებს ბითუმად იხვეჭდა. ილია ავერბუხს მოსკოვში დავუკავშირდით...*



— თავიდან გკითხავთ, საიდან წამოვიდა თბილისში შოუს მოწყობის იდეა?

— იდეა მე გამიჩნდა, როცა შარშან საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიწვევით პირველად ჩამოვედი თბილისში. ამის შემდეგ კონსულტაციები მქონდა თქვენი ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტ ირაკლი ჯაფარიძესთან. სიმართლე გითხრათ, მასთან ურთიერთობამ გადამაწყვეტინა თბილისში გრანდიოზული შოუს მოწყობა. მერე კი მოსკოვში მყოფ საქმიან ქართველებს დავუკავშირდით და საორგანიზაციო საკითხები მოვაგვარეთ.

— შარშან ახალ წელს თბილისში მერიის წინ უკვე იყო ყინულის შოუ, რომელმაც ვერ გაამართლა. არ გეშინიათ, რომ ქართველი მაყურებელი ამ შოუსაც არ მიიღებს?

— ისეთ სანახაობას გპირდებით, ცოცხლად ჯერ რომ არასდროს გინახავთ. ეს შოუ მოსკოვში სარვამარტოდ მოვაწყვეთ და ბრწყინვალე გამოვიდა. სხვაგან ჯერ არ გვიჩვენებია, რადგან გვინდა, მოსკოვის შემდეგ სანახაობა კავკასიაში გავიტანოთ. პრემიერა სწორედ თბილისში გაიმართება. მერე კი, თუ ხელშეწყობა იქნება, ეგებ ერევანში და ბაქოშიც დავდგათ. რაც შეეხება ქართველ მაყურებელს, გარწმუნებთ, აღფრთოვანებულები დარჩებიან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შოუში მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ ცეკვებში ტურინის ოლიმპიური ჩემპიონები, ულამაზესი ტატიანა ნავკა და რომან კოსტომაროვი, 2002 წლის ოლიმპიური ჩემპიონები — ალექსეი იაგუდინი, ელენა ბერეჟნაია, ანტონ სიხარულიძე, ახლახან დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული ბრაიან ჟუბერი... საგანგებოდ მოვიწვიეთ ელენე გედევანიშვილი, ვახტანგ მურვანიძე, პირველი ქართული მოცეკვავე წყვილი — ოთარ ჯაფარიძე და ეკატერინა ზაიკინა. იქნებიან სხვა კაშკაშა ვარსკვლავებიც. ასე რომ, უმაღლესი ხარისხი გარანტირებულია. მეტიც, შოუ 4 მაისს გაიმართება და მეორე დღესაც ვაპირებთ დამატებას.

**— სხვა კაშკაშა ვარსკვლავებში ვინ იგულისხმეთ?**

— სიას ჯერ ვერ გეტყვით, რადგან ბოლომდე დაზუსტებული არაა... ისე კი, მოლაპარაკებას ვაწარმოებ ტურინის ოლიმპიადის რამდენიმე მედალოსანთან.

**— ამის გარდა თბილისში კიდევ აპირებთ სანახაობის მოწყობას?**

— თბილისის შოუს ტრადიციულ სახეს მივცემთ. მეტიც, თბილისს დიდი შოუების კალენდარში ჩავსვამთ. ეგებ დეკემბერში საახალწლოდაც მოვაწყოთ გრანდიოზული შოუ. მასში ალბათ ორი უძლიერესი მოციგურავე — ევგენი პლიუშენკო და ირინა სლუცკაიაც მიიღებენ მონაწილეობას. მათგან წინასწარი თანხმობა უკვე გვაქვს.

**— თქვენ თვითონ არ მიიღებთ მონაწილეობას?**

— რა თქმა უნდა, მე და ჩემი მეუღლე ირინა ლობაჩოვა შოუს ბოლოს გამოვალთ და განსაკუთრებულ ნომერს შევასრულებთ. შოუს კონფერანსიეც მე ვიქნები.

**— თქვენს მეუღლესთან ერთად უამრავი ტიტული მოგიგიათ, ახლაც ერთად დგამთ შოუებს. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახური საქმიანობა გაქვთ...**

— დიახ, ირინასთან ყოფნა ყველაფერს მიადვილებს. ის რომ არა, ამდენს ვერც შევძლებდით. ირინას დამსახურებაა, რომ სამოყვარულო ციგურაობიდან წასვლის შემდეგ საყვარელ საქმეს არ მოვწყდით და ჩვენი პროფესიონალიზმი შოუების მოწყობაში გადავიტანეთ. შეიძლება ითქვას, ჩვენს პოპულარობაში ირინას წვლილი მეტია.

**— პოპულარული წყვილები საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში არიან და სკანდალებიც ბევრია. თქვენს შემთხვევაში როგორაა?**

— ყოველი შემთხვევისთვის, სკანდალების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდა. ადრე პრესაში ხშირად ვკითხულობდით აბსოლუტურ სისულელეს. თითქოს ერთმანეთს დავშორდით, ან საყვარელი გავიჩინე... უთანხმოება ყველა ოჯახში ხდება, ჩვენს შემთხვევაში კი კამათი დაუმაგრებელი ციგურების ან ილეთის ვერშესრულების გამო თუ ხდება. თუ რამე არ გამოგვდის, ერთმანეთს ვაბრალებთ. ეს არის და ეს. ნორმალური ოჯახი გვაქვს.

**— დღევანდელი გადასახედიდან გული რაზე გწყდებათ?**

— ოლიმპიურ ოქროზე! მსოფლიოს ჩემპიონები ვიყავით, უამრავი მედალი და ტიტული მოგვიგია, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონობა ოცნებად დაგვრჩა.

**— დღეს ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო მოციგურავედ?**

— წყვილებში ტატიანა ნავკა და რომან კასტომაროვი უკონკურენციოდ არიან, კაცებში ევგენი პლიუშენკო უდიდესი მოციგურავეა. ქალებში ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონი კიმი მაისნერი ძალიან მომწონს, მაგრამ რა ვქნა, რომ საუკეთესოდ მაინც ირინა სლუცკაია მიმაჩნია. მერწმუნეთ, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ორივე რუსები ვართ.

**— ელენე გედევანიშვილზე რას იტყვით?**

— ფანტასტიური მონაცემები აქვს. არტისტულია, მსუბუქი, ტექნიკური... ელენეს ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე ვაკვირდებოდი, როცა პირველად გაიბრწყინა. მას ისეთი მაღალი დონის მწვრთნელები ავარჯიშებენ, ტატიანა ტარასოვა და ელენა ვოდორეზოვა რომ არიან. დარწმუნებული იყავით, ისინი ელენას მსოფლიო დონის ვარსკვლავს გახდიან. საამისოდ დრო სჭირდება. ელენე ჯერ პატარაა, მისი ორგანიზმი დიდ დატვირთვებს ვერ უძლებს. გამოცდილება აკლია. ორ-სამ წელიწადში ელენე გედევანიშვილი მსოფლიოს ჩემპიონებს შეავიწროვებს.

**ბაჩო სვანიძე**

ჭადრაკი

# ქართველებმა ჩემპიონატი შამპანურით დაიწყეს

### ევროპის ჩემპიონატი

3-16 აპრილი. კუშადასი. თურქეთი

**I ტური**

კაცები

ტაიგერ ჰილარპ-პერსონი (შვეიცარია) 0:1 ზვიად იზორია (საქართველო)
ბაადურ ჯობავა (საქართველო) 1:0 ალოიზ იანკოვიჩი (ხორვატია)
ლევან აროშიძე (საქართველო) 0,5:0,5 ვადიმ ჰუსეინოვი (რუსეთი)
კონსტანტინე შანავა (საქართველო) 0:1 გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო)

ქალები

სოფიო გვეტაძე (საქართველო) 0:1 ელიზაბეტ პაეცი (გერმანია)
ნატალია პაგონინა (რუსეთი) 0,5:0,5 ბელა ხოტენაშვილი (საქართველო)
ეკატერინი ფახირიდი (საბერძნეთი) 0:1 ნანა ძაგნიძე (საქართველო)
ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) 1:0 ანჯელა დრაგომირესკუ (რუმინეთი)
ნინო ხურციძე (საქართველო) 1:0 მონიკა ციგანოვა (ესტონეთი)

**ორშაბათს** თურქეთის საკურორტო ქალაქ კუშადასში ევროპის მეექვსე ჩემპიონატი დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა. ორგანიზატორებმა ბლომად შამპანური ჩამოასხეს და ფეიერვერკებიც საკმაოდ ისროლეს, შემდეგ კი მოჭადრაკეები ცოტა ხნით დაასვენეს, კენჭისყრით ერთმანეთს დაუპირისპირეს და გუშინ თამაშებიც დაიწყო.

პირველ ტურში ქართული დერბი შედგა. კონსტანტინე შანავა გიორგი ყაჭეიშვილს დაუპირისპირდა. ჩვენებურებმა მესამე სვლაზე თითო პაიკი გაცვალეს, ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოიყვანეს და დაფაზე ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს. თავიდან შანავა გააქტიურდა და სახიფათოდ შეუტია მეტოქეს, თუმც შეცდომა დაუშვა და 28-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო ბაადურ ჯობავამ. ქართველ დიდოსტატს პირველ ტურში იოლი მეტოქე, საერთაშორისო ოსტატი ალოიზ იანკოვიჩი შეხვდა და საქმე 27-ე სვლაზე მოუთავა. ჩვენებურმა ნაკლებად ცნობილი დებიუტით, C4-ით დაიწყო პარტია, წინა ხაზი მხედარპაიკებით გააძლიერა და მე-8 სვლაზე როქი ითამაშა. მეფე დაცულად იგულა თუ არა, ჯობავამ მაშინვე იერიშებს მიმართა. ლაზიერის ფლანგიდან დაარტყა შავებს, წყობა მოუშალა და მე-17 სვლაზე კუთი მეტოქის ხელმწიფეს ურჩინა. ქართველმა ნელნელა განავითარა იერიში, უპირატესობა კიდევ უფრო განიმტკიცა და პირველი გამარჯვება აღნიშნა.

იმარჯვეს ჩვენმა მანდილოსნებმაც. მათ პირველი ტური ყოჩაღად ჩაამთავრეს და მნიშვნელოვანი ქულები ჩაიწერეს. ყველაზე მეტად 19 წლის ნანა ძაგნიძის თამაშია გამოსარჩევი. ახალგაზრდა ქართველმა შავი ფიგურებით დაჯაბნა მეტოქე და დღეს მეორე შეხვედრაში თეთრებით გამოვა.

**ლაშა გეგეჭკორი**

## დევისის თასი. მეორე ევრო-აფრიკული ჯგუფი
### პირველი წრე. სპორტის სასახლე. 7-9 აპრილი

*დევისის თასის ევრო-აფრიკულ მატჩამდე ორი დღე რჩება. გუშინ საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებმა ჩვეულად, დილა-საღამოს ივარჯიშეს. გელა ელერდაშვილის გუნდს კვლავ აკლდა მეორე ნომერი ლადო ჩიხლაძე. იგი გერმანიიდან ამაღამ ჩამოფრინდება და ხვალ დილის ვარჯიშზე აუცილებლად ჩვენთან იქნებაო, დაგვაიმედა ნაკრების კაპიტანმა. აფრიკელთა რიგები კი საბოლოოდ შეივსო. მათი ლიდერი, წყვილთა შორის შარშანდელი უიმბლდონის ჩემპიონი ვესლი მუდი ჯონ-დაფინი დე იახერის სამწყსოს გუშინ გამთენიისას შეუერთდა და ორჯერვე ივარჯიშა, ოღონდ ნაკლებად დაიტვირთა*



# მოდით, მუდი გეპატიჟებათ
## აფრიკელების ყოჩმა სავსე ტრიბუნები ინატრა

— მგზავრობამ დაგღალათ? — ვკითხეთ ნავარჯიშევს ახმახ აფრიკელს.

— მართლაც, დიდი დრო გავატარე ჰაერში. მაიამიში ვიყავი ტურნირზე და თბილისში თანაგუნდელებზე გვიან ამიტომ ჩამოვედი. არა უშავს, ხვალ-ზეგ უკვე მწყობრში ჩავდგები და ბოლომდეც დავიტვირთები.

— ტურნირიდან კმაყოფილი მოდიხართ?

— კონკრეტულად, ბოლო ტურნირზე რა გითხრათ. აი, სეზონით კი უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

— ბოლო დიდი წარმატება წყვილებში უიმბლდონის მოგება იყო?

— წყვილებში უიმბლდონი. ინდივიდუალურად კი მას შემდეგ თურქეთში მოვიგე ერთი ტურნირი.

— წყვილებში უფრო ძლიერ ჩოგბურთელად თვლით თავს?

— არანაირად. ჩემთვის მთავარი ინდივიდუალური კარიერაა, ისევე, როგორც ჩოგბურთელთა უმრავლესობისთვის. რეიტინგშიც ინდივიდუალურად უფრო წინ ვარ, ვიდრე წყვილთა შორის.

— თბილისში დარბაზში მოგიწევთ თამაში. ამ შემთხვევაში, ვის აქვს უპირატესობა, საქართველოს თუ სამხრეთ აფრიკას?

— ვერ გეტყვით. ქართველი ჩოგბურთელების თამაში თვალით არ მინახავს. პირადად კი ყველა საფარს ბალახი მირჩევნია.

— ქართულ ჩოგბურთზე არაფერი გსმენიათ?

— მხოლოდ ირაკლი ლაბაძეზე. ვიცი, რომ კარგი ჩოგბურთელია, თუმცა პირისპირ არც მას და არც სხვა თქვენებურს არასოდეს გადავყრივარ.

— პროგნოზს გააკეთებთ?

— თანაბარი შანსები გვაქვს. ის მოიგებს, ვინც იმ კონკრეტულ მომენტს უკეთ მომზადებული შეხვდება. იმედია, შინ გამარჯვებულები გავბრუნდებით.

*დამშვიდობებისას მუდმა სავსე ტრიბუნების წინ თამაში ინატრა. შეგვატყო გაგვიკვირდა და დასძინა:*

— მაყურებელი ჩემთვის ყოველთვის დამატებითი სტიმულია, თუნდაც ყველა ჩემი მეტოქის მხარდამჭერი იყოს.

*რაც შეეხება ქართულ ბანაკს, ელერდაშვილის გუნდმა გუშინ განსაკუთრებული დატვირთვით ივარჯიშა. და, რაც მთავარია, საფარზეც აშკარად უკეთ იდგნენ, ვიდრე წინა დღეს. ეს მოგვიანებით თავად კაპიტანმაც აღნიშნა.*




**ოთარ მაღლაკელიძე**



## ჩელენჯ ტროფი. ქალები
### ბოსნია-ჰერცეგოვინა

# ქალები ხელს ბოსნიაში გაშლიან

**დღეს** ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოს მახლობლად, ვოგოსკაში იწყება ქალ ხელბურთელთა „ჩელენჯ ტროფის“ ტრადიციული ტურნირი.

შეჯიბრების მონაწილე რვა გუნდს შორისაა საქართველოს ნაკრებიც, რომელსაც ჯგუფურ ეტაპზე მეტოქეობას გაუწევენ ფარერის კუნძულების, ინგლისისა და ალბანეთის წარმომადგენლები. მეორე ჯგუფში არიან ესტონელი, სომეხი, კვიპროსელი და ბოსნიელი ხელბურთელები.

ქართველი გოგონებისთვის ეს მეორე საჩელენჯო ტურნირია. 2002 წელს მათ ბაქოში ითამაშეს და ექვს გუნდს შორის მეხუთე ადგილზე გავიდნენ.

სადღეისო ნაკრებში საქართველოს ჩემპიონ „მართვე-თბილისის“ 10 წევრია — ნინო ელოშვილი, მარიეტა ბაინდურიანი, ალა მახარაძე, თამარ კოვზირიძე, ლანა მარგიანი, ირმა ციცქიშვილი, დოდო თევზაძე, ლალი გახოკია, ვენერა ვეშაგური და მოთამაშე-მწვრთნელი ელისო ჟურულიშვილი, აგრეთვე ირმა შონია და ქრისტინე გუჯაბიძე (ორივე „ფოთი“), მაია თავაძე („ქუთაისი“).

თამაშებს ქართველი მსაჯებიც მოემსახურებიან — ელენე არაბული და ინა ჭკუასელი.

ჩვენი გუნდი გუშინ გამთენიისას ვენის გავლით გაფრინდა სარაევოში. არადა, გამგზავრება ბოლო მომენტამდე საეჭვო იყო. მართალია, ტურნირში გუნდების მონაწილეობას ევროფედერაცია აფინანსებს, მაგრამ ვენიდან ფულის გადმორიცხვა ვერ მოესწრო. შექმნილ კრიტიკულ ვითარებას უშველა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ, რომელმაც ისესხა გუნდის სამივლინებოდ საჭირო ათი ათასი დოლარი.

ქართველი ხელბურთელები დღეს ალბანელებს ეთამაშებიან, ხვალ ინგლისელებს, ზეგ კი ფარერების წარმომადგენლებს. ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს ბრძოლას პირველობისთვის.

**გია ახალაძე**

## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები
### ნახევარფინალი

**სიუდად რეალი** (ესპანეთი) 31:21; 29:27 **ფლენსბურგი** (გერმანია)

**პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი) 27:29; 32:29 **ვესპრემი** (უნგრეთი)

*ამრიგად, ფინალში ორი ესპანური კლუბი შეხვდება. თამაშები 23 და 30 აპრილს გაიმართება*

**საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 1996-2005 წლებში ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ვეტერანი ხელბურთელი ალიკო კიკაბიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს**

**ხელბურთის კლუბი „სტუ-შევარდენი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ხელბურთელი, ეროვნული ასოციაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე (ალიკო) კიკაბიძე და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს**

**1960-80-იანი წლების ვეტერანი ქართველი ხელბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი ხელბურთელი და ეროვნული ასოციაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალიკო კიკაბიძე და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს**

**თბილისის ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული ცენტრი მწუხარებით იუწყება ვეტერანი ხელბურთელის, ეროვნული ასოციაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ალიკო კიკაბიძის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს**



## რეგულარული ჩემპიონატი

3 აპრილი

**ოტავა 6:4 ატლანტა**
*1:0 3:2 2:2*

**კაროლინა 6:5 ვაშინგტონი**
*1:2 3:0 1:3 1:0*

**ტორონტო 2:3 ბუფალო**
*0:1 1:1 1:0 0:0*
*0:1 ბულიტების სერიაში*

**კოლორადო 4:3 ჩიკაგო**
*1:1 1:1 2:1*

**ედმონტი 7:1 ფინიქსი**
*2:1 4:0 1:0*

**ლოს ანჯელესი 1:0 ვანკუვერი**
*0:0 1:0 0:0*

**კალგარი 1:2 დეტროიტი**
*1:0 0:1 0:0 0:0*
*0:1 ბულიტების სერიაში*

**დალასი 2:3 სან ხოსე**
*1:0 0:1 1:1 0:1*

**ნეშვილი 1:3 კოლუმბუსი**
*1:1 0:1 0:1*

**ტამპა 4:1 ფლორიდა**
*2:0 0:1 2:0*



# ბორჯღალოსნებმა მოიგეს, არაბებმა ილოცეს

**გუშინ** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა დუბაიში, მსოფლიოს თასის 12-გუნდა ელიტაში დასაბრუნებლად ბრძოლა დაიწყო.

მსოფლიოს თასის „B“ დივიზიონის პირველ მატჩში ჩვენმა ჭაბუკმა სამხრეთ კორეის ნაკრები 57:3 მიანგრიეს. კორეელებთან ბორჯღალოსნების ასეთი გამარჯვება მოსალოდნელი იყო, რაკი მეტოქე აშკარად ჩამოუვარდება ქართველებს. უფრო სერიოზული მატჩი ჩვენებს 8 აპრილს ელით, როცა ნამიბიას დაუპირისპირდებიან. 12 აპრილს კი ჯგუფის ბოლო მეტოქეს ტონგას ეჯახებიან. თუ ჩვენებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს, მაშინ „B“ დივიზიონის ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ — ელიტაში მხოლოდ ქვედა ლიგის გამარჯვებული ადის.

2002-04 წლებში, ქართველმა ჭაბუკებმა ზედიზედ სამჯერ საელიტო მე-10 ადგილი დაიკავეს, მაგრამ შარშან ხუთივე თამაში წააგეს და მეორე ჯგუფში ჩამოქვეითდნენ.

„კორეასთან ყველამ კარგად ითამაშა. ჩვენები ერთი თავით სჯობდნენ მეტოქეს და უკვე პირველივე ტაიმში მოუმთავრეს საქმე... მატჩის მიმდინარეობისას მუსლიმანების ლოცვის დრო დაემთხვა და მოლას ხმაზე, სტადიონზე მყოფი არაბები რაგბის კი არ უყურებდნენ ერთთავად ლოცულობდნენ“ — გვითხრა ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრების მენეჯერმა ირაკლი გვენეტაძემ, გუშინ, დუბაიში რომ დავუკავშირდით.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. წუხელ

*მილანი (იტალია)* 3:1 ლიონი (საფრანგეთი) (0:0)

1:0 ინძაგი (25), 1:1 დიარა (31), 2:1 ინძაგი (88), 3:1 შევჩენკო (90)

მილანი: დიდა, სტამი (კოსტაკურტა 24), ნესტა, კალაძე, სერჟინიო, გატუზო (მალდინი 78), პირლო (ამბროზინი 72), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ლიონი: კუპე, კლერკი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ჟუნინიო, დიარა, მალუდა, ვილტორდი, ფრედი (კარეუ 71), გოვუ (რეველიერი 83)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: გატუზო, ინძაგი, სერჟინიო, მალდინი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

82 000 მაყურებელი

*ვილიარეალი (ესპანეთი)* 1:0 ინტერი (იტალია) (1:2)

1:0 არუაბარენა (58)

ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტა, კიკე ალვარესი, პენია, არუაბარენა, სენა, ტაკინარდი, სორინი (ხოსიკო 78), რიკელმე, ფორლანი (კალეხა 90), ხოსე მარი (ფრანკო 78)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

ინტერი: ტოლდო, კორდობა, მატერაცი, სამუელი, ხ. ძანეტი, ფიგუ (მიხაილოვიჩი 75), ვერონი (კრუზი 85), კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, რეკობა (მარტინსი 56)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ტაკინარდი, ფიგუ, მარტინსი, ვიერა

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

23 000 მაყურებელი



AFP ფოტო

ამ პიპო-გოლამდე კალაძის სუპერპასი იყო



AFP ფოტო

ადრიანო და „ინტერი“ ჭირის ოფლში გაიწურნენ

# პატარას დიდთან გაუვიდა: დიდს პატარისგან გაუვიდა

„მილანი“ ნახევარფინალშია, „ინტერი“ — ვერა. წუხელ საფეხბურთო მტრობით ორად გაყოფილი ქალაქის შავ-წითელი ნაწილი „ლიონთან“ მოგებას თავდავიწყებით ზეიმობდა, მეორე, შავ-ლურჯი კი შოკში გახლდათ — ადრიანოს, რეკობას, მარტინსის, ფიგუს და ვერონის „ინტერნაციონალემ“ ლიგის დებიუტანტ „ვილიარეალთან“ წააგო და გათამაშებას გამოეთიშა. ასე რომ, თანაქალაქელი გრანდები ტურნირს ერთად ველარ გააგრძელებენ.

„მილანს“ ძალიან გაუჭირდა კერკეტი „ლიონის“ დაჩოქება, ფრანგებმა მთელ თამაშში ერთი-ორჯერ თუ „შესცოდეს“, მაგრამ მაინც მწარედ დაისაჯნენ.

ანგარიში ინძაგიმ გახსნა ზეედორფის პასით, შემდეგ ფრედის გადაცემით დიარამ გაათანაბრა, მატჩის მიწურულს კი თითქმის ნაპირზე გასული „ლომები“ ისევ ინძაგიმ (პიპოს გოლი კალაძის მწვავე და გრძელ პასს მოჰყვა) და ანდრეი შევჩენკომ „მოახრჩვეს“... კახა კალაძის „მილანი“ ნახევარფინალში გავიდა...

მანუელ პელეგრინის „ვილიამ“ შინაურ „მადრიგალზე“ „ინტერს“ დიდი ბრძოლა გაუმართა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. მატჩის გმირი არგენტინელი ხუან რომან რიკელმე იყო, არუაბარენამ შეხვედრის ერთადერთი გოლი მისი პასით შეაგდო. ისე კი, არა მარტო რიკელმე, არამედ მთელი „ვილიარეალია“ გმირი, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ლიგის ახალწვეულია და პირველივე ცდაზე ნახევარფინალში გავიდა. ცნობისთვის: ვილიარეალში სულ 40 ათასი ადამიანი ცხოვრობს და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ფიესტაც გაჩაღდებოდა „ყვითელ ქალაქში“...

**ლადო ხომერიკი**

## ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

ბირმინგემი 1:0 ბოლტონი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩი**

პორტ ვეილი 3:1 დონსი

**მეორე ლიგა**
**გადადებული მატჩები**

ბერი 0:0 მაკლსფილდი

როჩდეილი 0:2 დარლინგტონი

**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩები**

ალტრინჩემი 0:3 იორკი

კემბრიჯი 2:1 ექსეტერი

ძონვი 0:2 უოქინგი

გრეივსენდი 1:3 გრეისი

მორეკემბი 2:2 ჰერეფორდი

ტემუორთი 2:1 ალდერშოტი

## ჰოლანდია

**ერედივიზიონი**
**XXXII ტური**

ალკმაარი 3:2 ბრედა

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

ვატენშაიდი 1:1 ობერჰაუზენი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩები**

ეშბორნი 0:5 აუგსბურგი

რეგენსბურგი 1:3 ჰოფენჰაიმი

## შოტლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

როსი 0:0 დანდი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ფორფარი 1:2 სტირლინგი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ისტ სტირლინგი 1:1 კოუდენბითი

## სლოვაკეთი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩები**

პუხოვი 0:2 რუჟომბეროკი

ჟილინა 0:1 არტმედია

## ავსტრია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

კუფშტაინი 1:0 შვანენშტადტი

**თასის მეოთხედფინალი**

ალტახი 2:3დ.დ.(1:1) *პაშინგი*

გრატკორნი 1:2 *რიდი*

კაპფენბერგი 0:1 *აუსტრია*

*მატერსბურგი* 1:0 რაპიდი

## პოლონეთი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩები**

კორონა 0:1 პოგონი

ლეჩნა 1:1 არკა

ოდრა 1:0 გურნიკი

პლოცკი 5:1 ლეხი

ზაგლებე 1:0 პოლონია

## შვედეთი

**ალსვენსკა**
**პირველი ტური**

ჰამარბი 4:2 ჰელსინგბორგი


## წამალი „სალხინო“

**ქართული ფლორის საოცრება**

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო“ და ეს პრობლემები მოგეხსენებათ.

„სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge